



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ცაგერის მუნიციპალიტეტი
საქართველო

ცაგერი
2020

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა
ცაგერის მუნიციპალიტეტი

მერის მიმართვა

ცაგერის მუნიციპალიტეტი 2019 წელს შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას "მერები ეკონომიკური ზრდისთვის", რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს აძლევს საშუალებას მომზადდეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და ისარგებლოს ევროკავშირის და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით პროექტების განხორციელების პროცესში.

სხვა გეგმებისაგან განსხვავებით, აღსანიშნავია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების მეთაურობა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო და კერძო პარტნიორობას. მხოლოდ თანამშრომლობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები იქნება წარმატებული.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ბირთვადი მიმართულებები სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაა. ქვეყანაში ხორციელდება მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები სექტორის განვითარებისათვის, ჩვენს მხრივ დაგეგმილია საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას.

გამოვხატავ სრულ მზადყოფნას განვახორციელო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისათვის. ასევე, მზად ვარ მხარი დავუჭირო ყველა სასარგებლო ინიციატივას რაყარც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას და დასაქმების ზრდას.

მინდა მადლობა გადავუხადო ევროკავშირის ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში მხარდაჭერისთვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო გეგმის მომზადების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს: კერძო ბიზნესს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ჩემს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს გეგმის მომზადების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის. მადლობა ევროკავშირის ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში მხარდაჭერისთვის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი



მანდილ უგრუხელიძე

გეგმის ასლის მისაღებად, გათხოვთ, დაუკავშირდით
სახელი, გვარი: რევაზ ახვლედიანი
თანამდებობა: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების
მართვის სამსახურის უფროსი
მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის #58
ტელეფონი: +995 551 071 014
ელ-ფოსტა: revaia1970@gmail.com
ვებგვერდი: www.tsageri.gov.ge

1. შემაჯამებელი შინაარსი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორის მიერ ერთობლივად მომზადებულ დოკუმენტს, რომელიც გრძელვადიან ხედვასა და მიზნებთან ერთად განსაზღვრავს 2 წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

რეგიონულ და ეროვნულ ბაზრებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეტანის შესაძლებლობა, ადგილობრივი ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა, ქმნის წინაპირობას ცაგერის მუნიციპალიტეტი გახდეს ცნობილი

ეკოლოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და ტურისტული შესაძლებლობებით; ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოთი, სადაც ოჯახებს აქვთ შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. ამ ხედვის რეალობად გადასაქცევად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობამ მიზნად დაისახა შემდეგი მიზნები: ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების ზრდა; ადგილობრივი ადამიანური რესურსების უნარ-ჩვევების განვითარება. ამ მიზნების მისაღწევად გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებები: ყოველწლიური ქართული ღვინის ფესტივალის ორგანიზება; ადგილობრივი მწარმოებლების მარკეტინგული საქმიანობების მხარდაჭერა; ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა; აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის წარმოება; ტურისტულ ლოკაციებზე ინფრატრუქტურის მოწყობა; ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება; დიალოგის პლატფორმის შექმნა მუნიციპალიტეტს, დამსაქმებელსა და სასწავლებლებს შორის.

გეგმის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 802 020 ლარს (250 624 ევრო), საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა შეადგენს 133 324 ლარს (41 663 ევრო) 17%-ს, მაღალი დონის ბიუჯეტიდან მოზიდული იქნება 377 538 ლარი (117 980 ევრო) 47%-ს; დონორების საშუალებით დაფინანსდება აქტივობების 36% - 291 158 ლარი (90 986 ევრო).

გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განხორციელების მონიტორინგს, რომელსაც განახორციელებს მერიაში შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.

2. სარჩევი

მერის მიმართვა

1. შემაჯამებელი შინაარსი
2. სარჩევი
3. ცხრილები და შემოკლებები
4. გეგმის შესავალი
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
 - 6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
 - 6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები
 - 6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია
 - 6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
 - 6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა
 - 6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო
 - 6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
 - 6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
7. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი
8. ხედვა და მიზნები (მათ შორის, მოსალოდნელი შედეგები)
9. სამოქმედო გეგმა
10. დაფინანსების სქემა
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართები

- დანართი 1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.
დანართი 2. LEDP-ის მომზადების პროცესში სამუშაო ჯგუფისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები.
დანართი 3. მონაცემები და ინფორმაციები მუნიციპალიტეტის შესახებ

3. ცხრილები და შემოკლებები

3.1. ცხრილები

- ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა
ცხრილი 2: დაფინანსების სქემა
ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

3.2. შემოკლებები

- M4EG - მერები ეკონომიკური ზრდისთვის
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა
SWOT – ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, დასაფრთხეები

4. გეგმის შესავალი

ცაგერის მუნიციპალიტეტმა 2019 წლის მაისში ხელი მოაწერა ევროკავშირის ინიციატივას “მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ კლუბში გაწევრიანების შესახებ დოკუმენტს. ეკონომიკური განვითარების გეგმა საჭიროა იმისათვის რომ, ამ გეგმის განხორციელებით მოხდეს მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს შემდგომი განვითარება, ასევე ხელი შეეწყოს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავების წილის ზრდას, რაც კეთილსასურველ გავლენას მოახდენს მოსახლეობის შემოსავლის ზრდაზე და მიგრაციის შემცირებაზე. M4EG-ის ინიციატივა შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალიტეტებს საზოგადოების ჩართულობით მოახდინონ გეგმის მომზადება, განხორციელება და მისი შესრულების მონიტორინგი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი გააგრძელებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში. ეს გეგმა შემუშავებულია M4EG სტანდარტების სრულ შესაბამისობაში, რომლის უმთავრესი პრინციპია კერძო სექტორის მონაწილეობა დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგის პროცესში.

წარმოდგენილი გეგმა თანხვედრაშია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2020-2021-სთან, საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025-თან; ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია 2014-2021, ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან. მომზადებული გეგმა წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი დაგეგმვის სისტემის დამატებით დოკუმენტს. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მუშავდება კონკრეტული ეკონომიკური გამოწვევების გადასაჭრელად, რომელიც გეგმაშია აღწერილი. ეს არ არის ყოვლისმომცველი გეგმა და ვერ ჩაანაცვლებს ან წინააღმდეგობაში ვერ მოვა სხვა გეგმებთან, წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების გეგმა ვიწროდ ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას, განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

გეგმა შემუშავებულია კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით. ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების შესაბამისად. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია გააგრძელებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ბიუჯეტი შეადგენს 802 020 ლარს (250 624 ევრო), საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა შეადგენს 133 324 ლარს (41 663 ევრო) 17%-ს, ცენტრალური ბიუჯეტის თანამონაწილეობაა 377 538 ლარი (117 980 ევრო) 47%-ს, ხოლო დონორების 291158 ლარი (90 986 ევრო) 36%-ს.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

LEDP-ის მომზადებისათვის შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, LED ოფიცერის ხელმძღვანელობით. წევრთა შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: დაგეგმვის გამოცდილება; ინფორმაციების მოძიების და ანალიზის კვალიფიკაცია; დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება; სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფს გააჩნდა გაწერილი საქმიანობის გეგმა, რომელიც ვადებში იქნა დაცული.

გეგმის მომზადების პერიოდში ეწყობოდა შეხვედრები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორთა ჯგუფთან. გეგმის შემუშავების პროცესში, გაიმართა შვიდი შეხვედრა, კერძოდ: ორ-ორი შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტში ყურძნისა და ღვინის მწარმოებელ და ტურიზმისა და საოჯახო სასტუმროების განვითარების კუთხით მომუშავე ბიზნესმენებთან. ორი შეხვედრა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ბიზნესმენებთან, ერთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. სამუშაო ჯგუფმა მათ წარუდგინა მომზადებული მასალები განხილვისათვის. პარტნიორთა ჯგუფის შემადგენლობაში იყო 15 ადგილობრივი კერძო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფსა და პარტნიორობაში დაცული იყო გენდერული ბალანსი. სამუშაო ჯგუფმა მათ წარუდგინა მომზადებული მასალები განხილვისათვის. მათი პარტნიორობის მოსაზრებები, შენიშვნები აისახა ეკონომიკური განვითარების გეგმაში, რომელმაც განაცხადს მეტი ლეგიტიმაცია შესძინა. პარტნიორობის წევრების ჯგუფის შერჩევა მოხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებისა და მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მათი გამოცდილების და გენდერული პრინციპის დაცვით.

ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტურიზმი.

მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა მუნიციპალიტეტში შედარებით სუსტადაა განვითარებული, იგი ძირითადად ქვის დამუშავებით, ინერტიული მასალების მოპოვებით, კვების მრეწველობით (პურის საცხობები, ლიმონათის საამქროები) შემოიფარგლება. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური - 105 მეგავატის სიმძლავრით, ჯონოულის მცირე ჰიდროელექტროსადგური 1,5 მგვტ სიმძლავრით, მიმდინარეობს მდ. ლაჯანურზე 3 მცირე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა საერთო სიმძლავრით 18 მგვტ.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ 2019 წელს შეადგინა 13 მილიონი ლარი, ხოლო ამ სფეროში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 440 კაცია. 2018 წელს გაზრდილია ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა. მოქმედებს სხვადასხვა სახის 26 კოოპერეტივი, 80 სავაჭრო ობიექტი, 10 გადამამუშავებელი საწარმო, საწარმოების ზრდას უკანასკნელ პერიოდში ხელი შეუწყო კანონმა მთიანი რეგიონების შესახებ და ბიზნესის ხელშემწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგს წარმოადგენს ტურიზმი, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალრიცხოვანი უძველესი ისტორიული და კულტურული ობიექტები, ულამაზესი ხეობები და სამთო საკურორტო ადგილები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის განვითარებისათვის. დღეისათვის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 20 საოჯახო სასტუმრო, რომლებსაც ერთდროულად შეუძლიათ მიიღონ 125-მდე ტურისტი. მოქმედებს ბალნეოლოგიური კურორტი „ლაშიჭალა“ 250 ადგილზე, რომლის მინერალური წყლები გამოიყენება როგორც სასმელად ისე საბაზანო პროცედურებისათვის. უნიკალურია კურორტ „მულურის“ სამკურნალო წყალი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტს იძლევა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალოდ, პერსპექტივაში უნდა მოხდეს ახალჭალის, ალპანის, აღვის, ლამგვერიის მინერალური წყლების მოსახლეობისთვის და

სხვა ვიზიტორების სამსახურში ჩაყენება. ეს მინერალური წყლები და მათი სამკურნალო თვისებები კარგადაა ცნობილი მოსახლეობისათვის.

ამჟამად მზადდება საკურორტო ადგილი „ახალჭალის“ განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც გამოტანილი იქნება განსახილველად და დაიწყება ინვესტიციების მოძიება.

ცაგერის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია მე-5 საუკუნეში მოღვაწე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სამარხის აღმოჩენა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საფლავზე მიმლოცველთა ნაკადის რაოდენობა. აღსანიშნავია სოფ. დეხვირში ანტიკური პერიოდის ნასახლარები „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. უკანასკნელ პერიოდში კეთილმოეწყო საფეხმავლო ბილიკები მურის ციხეთა კომპლექსზე, მოეწყო გადასახედი „ღვრიშის ჩანჩქერზე“, დასასვენებელი ადგილი „ცივ ქვაზე“. პერსპექტიულია და ტურისტთა დიდ ინტერესს იწვევს სოფ ქულბაქის მახლობლად „მწვანე ტბა“ და მასზე განვითარებული ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულების შემდგომი განვითარებისათვის დამატებით საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და კეთილმოწყობა, მოსახლეობის დაინტერესება და ჩართვა ამ დარგში, ტურისტული გზამკვლევის დაბეჭდვა და გამოცემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ტურისტული ოპერატორისათვის ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება იქნება ახლადაშენებული ტურიზმის ხელისშეწყობის ცენტრის უპირველესი ამოცანა, რომლის თანამედროვე ტიპის ორიგინალური სახის შენობა უკვე შევიდა ექსპლოატაციაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულებაა და მისი ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სფეროშია დასაქმებული და მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია შეადგენს. მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური შიდა და გარე მიგრაციისა, სოფლის მეურნეობა კვლავ წამყვან დარგად რჩება მუნიციპალიტეტში, ამ ეტაპზე წარმატებით მიმდინარეობს მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი, რომლის მიზანია მიწის რეგისტრაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, კერძო და სახელწიფო სარგებლობაში არსებული მიწების გამიჯნვა.

მუნიციპალიტეტში მევენახეობა ტრადიციულად უძველესი დარგია და მას მეტ-ნაკლებად მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში მისდევენ. დღეისათვის მევენახეობის საერთო ფართობი 590 ჰექტარს შეადგენს, აქედან ცოლიკაურზე მოდის - 424 ჰექტარი, ოჯალეშზე - 83ჰა, უსახელოურზე - 46 ჰა, დანარჩენი სხვა ჯიშებზე (ალექსანდროული, მუჯურეთული, იზაბელა). ბოლო წლებში სტაბილური გახდა მოთხოვნა და ფასები ლეჩხუმურ ყურძენზე, მოთხოვნაც იზრდება და შესაბამისად მოსახლეობამ დაიწყო შემობრუნება ამ დარგის განვითარებისაკენ. 2016-2019 წლებში გაშენდა 3 ჰექტარზე მეტი ცოლიკაურის, 15-ჰე-მდე უსახელოურის ვენახები, ამოქმედდა 2 ვაზის სანერგე მეურნეობა, შესაბამისად თუ 2017 წელს მოწეული იქნა 1100 ტონა ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი, 2018 წელს მოსავლიანობამ 1500 ტონა შეადგინა, შესაბამისად 120, ტონიდან 230 ტონამდე გაიზარდა ოჯალეშის, 45 ტონიდან 60 ტონამდე უსახელოურის, 6-დან 10 ტონამდე ალექსანდროულის ჯიშის ყურძნის მოსავლიანობა. ყველა ამ ჯიშებიდან იწარმოება სამარკო ხარისხის ღვინოები, რომლებიც ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო ბაზრებზედაც.

ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ადგილწარმოშობის სერთიფიკატის არსებობა ისეთ ჯიშებზე როგორცაა „უსახელოური“ და „ორბელური ოჯალეში“, ღვინის ჩამოსახმელი რამოდენიმე საწარმოს აშენება და ხარისხიან შხამ-ქიმიკატებზე და აგროპრეპარატებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა.

მესაქონლეობა ოდითგანვე იყო და დღესაც რჩება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად დარგად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეიმჩნევა

პირუტყვის სულადობის კლება. თუ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს პირუტყვის საერთო სულადობა 16 ათასს შეადგენდა, დღეისათვის 6 ათასს არ აღემატება, თუმცა მუნიციპალიტეტის მიწის რესურსი (ბუნებრივი სათიბები, საძოვრები) ამ სულადობის რამოდენიმეჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა. უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება შემობრუნება ამ დარგისადმი. ამოქმედდა რამოდენიმე კოოპერატივი, ერთმა მათგანმა - კოოპერატივმა „ჭრელამ“ - სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით მიიღო ამ დარგისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რძის მიმღები პუნქტის მოსაწყობი ინვენტარი, იჯარით გადაეცა 400 ჰა-ზე მეტი ალპური საძოვრები. სოფ. გვესოში გაიხსნა მეთხეობის ფერმა, სადაც სრული ციკლის დაცვით ამზადებენ თხის ყველს, რომელიც სერიოზული მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. სოფ. ქულბაქში აშენდა მეხორცული მიმართულების მეცხოველეობის ფერმა 60 სულზე. დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია პირუტყვის ჯიშობრივი განახლება, ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა, რძის მიმღები საწარმოს გახსნა, მუდმივი ვეტერინალური მომსახურების განხორციელება.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ უძველეს და შემოსავლიანი დარგია მეფუტკრეობა. ამ დარგისადმი უკანასკნელი ათწლეულისათვის განსაკუთრებით გაიზარდა დაინტერესება, დღეისათვის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 4 ათასზე მეტი ფუტკრის ოიჯახი, ამ საქმითაა დაკავებული 150-ზე მეტი მოყვარული და პროფესიონალი მეფუტკრე. ყოველწლიურად იწარმოება 70-80 ტონა მაღალხარისხოვანი ეკოლოგიურად სუფთა თაფლი, მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია მეფუტკრეობის მიმართულებით 10 კოოპერატივი, რომლებმაც გასულ წელს უსასყიდლოდ მიიღეს 945 ფუტკრის სახლი 5 ერთეული თაფლის საწური აპარატი და სხვადასხვა მოცულობის თაფლის შესანახი და გადასატანი 5 რეზერუარი. მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა კოოპერატივების ქსელის შემდგომი განვითარება, სხვადასხვა სახის ახალი პროდუქციის (ფუტკრის რძე, შხამი, ყვავილის მტვერი) წარმოების დანერგვა, დაავადებების პროფილაქტიკა და ეფექტური პრეპარატების შემოტანა, ასევე აუცილებელია თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორიების მოწყობა.

უკანასკნელ პერიოდში განვითარდა და დიდი პერსპექტივა გააჩნია მეთევზეობის განვითარების, ამ ეტაპისათვის იწარმოება 50 ტონაზე მეტი კალმახი. მოქმედებს ამ მიმართულების კოოპერატივი, თევზის წარმოებას აქვს ზრდის პერსპექტივა, ამისათვის საჭიროა თევზის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ადგილობრივი წარმოების საკვები და სალიფსიტე მეურნეობის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ნიადაგური და კლიმატური პირობებით საუკეთესოა მეხილეობის განვითარებისათვის, 80-იან წლებში ლეჩხუმში. 5-6 ათასი ტონა თესლოვანი და კურკოვანი ხილის გადამამუშავება ხდებოდა. ადგილობრივი ტყეები მდიდარია გარეული ხილით (პანტა,მაჟალო, მოცვი, მაყვალი, ასკილი, ჟოლო და სხვა). მოსახლეობაში პირად მეურნეობაში ასევე გვხვდება ბროწეულის, ლეღვის, კივის, ნარგავები. 2018-2019 წლებში ლეჩხუმში მოწეული ხილის დიდი ნაწილი რეალიზებული ქ. ამბროლაურში მოქმედი ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მიერ. მიუხედავად ამისა მოსახლეობა ნაკლებადაა დაინტერესებული დარგის შემდგომი განვითარებით, რადგან არ არის გასაღების საშუალება, არ მოქმედებს ადგილზე გადამამუშავებელი საწარმო, დაბალია სარეალიზაციო ფასები, ამიტომ მოსახლეობა მას ძირითადად პირადი მოხმარებისათვის იყენებს.

ერთწლიანი მარცვლეული კულტურებიდან მუნიციპალიტეტში მოყავთ ძირითადად სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები, ძირითადად იყენებენ პირადი მოხმარებისათვის, მოსახლეობა ორიენტირებულია სიმინდისა და ლობიოს მოყვანაზე ამას ადასტურებს ის რომ მუნიციპალიტეტში დამუშავებული ფართობის 87-88 პროცენტი

სიმინდის კულტურაზე მიდის, რადგან იგი განეკუთვნება შედარებით ადვილად მოსავლელს და შენახვად პროდუქტს ხასიათდება სტაბილური სარეალიზაციო ფასით, თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება ნათესი ფართობების კლების ტენდენცია, რადგან დიდია მავნებელ ავადმყოფობებით გამოწვეული ზარალი, არ ხდება თესლბრუნვა, თესლის შეწამლვა, არ ხორციელდება სხვა აგროტექნიკური ღონისძიებები. დაბალია მექანიზაციის დონე და მოსახლეობას ძირითადად მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება ხელით უხდება, რაც დამატებით ხელს უშლის დარგის შემდგომ განვითარებას.

მომავალში აუცილებლად აღებული უნდა იქნას ორიენტაცია ახალი სასოფლო-სამეურნეო პროექტების წარმოებაზე, დაისვას საკითხი ბარის მიწის სასოფლო სამეურნეო სავარგულების სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებისათვის. დღეისათვის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს უახლოესი პერიოდისათვის უნდა წარმოადგენდეს, კოოპერატივებისა და მიკროკომპანიებისათვის ხელის შეწყობა. მათი საჭირო ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვაში ხელშეწყობა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები: მუნიციპალიტეტში ბიზნესის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები ჯერ-ჯერობით განვითარების საწყის ეტაპზეა. ძირითადი თანამშრომლობითი ურთიერთობები ყალიბდება ურთიერთსაჭიროებების არსებობის შედეგად. მათ შორის შეიძლება გამოვყოს რამდენიმე მიმართულება:

თავლის მაწარმოებელი რამოდენიმე მცირე მეურნეობა გეგმავს გაერთიანებას, რათა შექმნან ერთობლივი წარმოება და მოახდინონ ბაზარზე საკუთარი პროდუქციისათვის ადგილის დაკავება.

მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში ქსელური ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2015 წლიდან მუნიციპალიტეტში ხორციელდება ტურისტული პროექტი „ღვინის გზა“, სადაც ხელისუფლების სტრუქტურებთან ერთად ჩართულია ადგილობრივი სასტუმრო ბიზნესის, ტურისტული კომპანიების და საოჯახო მარნების წარმომადგენლები. ამ გაერთიანების მიზანია მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნოებით დაინტერესებული პირთათვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზება და შემდეგ მათი რიცხვის გაზრდა, რაც თავისთავად გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა მოქმედებს. მისი დახმარებით ორგანიზაციებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ.

მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული, 7 თანამშრომლით, სხვა საქმიანობასთან ერთად, 2018 წლიდან ახორციელებს ელექტრონულ აუქციონებს. ეს ხელს უწყობს ინფორმაციის საჯაროობას და საქმიანობის გამჭვირვალობას. ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება მუნიციპალიტეტის ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის საკითხები, ამიტომ 2020 წლიდან დაგეგმილია მომდევნო 3 წლის განმავლობაში მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება იტვირთება სააგენტოს ვებ-გვერდზე. საზოგადოებრივი ჩართულობის და ინფორმირებულობის ზრდის მიზნით ინფორმაცია თავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები. ბიუჯეტის მომზადების პროცესში ჩართული იყო შესაბამისი განყოფილებების თანამშრომლები, ბიუჯეტის განხილვა მოეწყო საკრებულოს შესაბამის კომისიებისა და ფრაქციის სხდომებზე.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის, ფინანსური რესურსების წყაროდ გამოიყენება რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის მომსახურება:

- სახელმწიფო ახორციელებს პროექტებს (სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, სააგენტო “აწარმოე საქართველოში), რომელიც წარმოება/მომსახურების სფეროებს აფინანსებს. კონკურსის შედეგებით დაბალია დამტკიცებული ბიზნეს-გეგმების რაოდენობა, რომლის ძირითადი მიზეზია მომზადებული ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი. საჭიროა დაინტერესებული მეწარმეების სწავლება-კონსულტირება ბიზნეს-გეგმის მომზადების საკითხებზე. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სპეციალისტების მიერ ბენეფიციარებთან ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, ეწვევთ ელექტრონული განაცხადის მომზადებაში დახმარება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობისათვის მოუხერხებელია და საჭიროა მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა გადამზადება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხებს გასცემენ მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის. რამდენიმე ბანკი ჩართულია სახელმწიფო პროგრამა “შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში“, რომელიც საპროცენტო განაკვეთის 10%-ის თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ბიზნესის მხრიდან საკრედიტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია: მაღალი ლიკვიდურობის გირაოთი უზრუნველყოფის მოთხოვნა; სესხების გაცემა ძირითადად ძირითადი საშუალებების შესაძენად და ნაკლებად საბრუნავი საშუალებებისათვის; მაღალი საპროცენტო განაკვეთი; დამწყები მეწარმე ვერ ახერხებს სესხის აღებას.

საჭიროა მეტი კომუნიკაცია საფინანსო სექტორსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის, საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ამ პროცესების ინიციატორი უნდა გახდეს მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ტრადიციული და ინოვაციური ბიზნესიდეების დაფინანსებისათვის ხელშეწყობი პროგრამების არსებობა. ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამების დახმარებით შემდეგ სფეროებში: ადგილობრივი ხილის გადამამუშავების ხელშეწყობა, მ.შ. მშრალი ხილის წარმოება, გარემოსდაცვითი ბიზნეს პროექტები მ.შ. ერთჯერადი ბიო-მასალების წარმოება; ყურძნის, ხილის წარმოება-გადამამუშავების ინოვაციური პროდუქტების წარმოება; თაფლის ბრენდინგი და წარმოების ხელშეწყობა; სასაჩუქრე და ხელნაკეთი სუვენირების წარმოება.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: ცაგერის მუნიციპალიტეტი შედარებით მცირემიწიანია, 2019 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების

მთლიანი ფართობი შეადგენს 13283 ჰა-ს, აქედან სახნავია 2341 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 996 ჰა, სათიბი 1435,4 ჰა, საძოვარი 8511 ჰა.

მუნიციპალიტეტი აწარმოებს მისი კუთვნილი ქონების-შენობა ნაგებობების, მიწის პრივატიზაციის და სარგებლობის უფლებით გაცემას, როგორც საჯარო ისე ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, ან პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით. 2018 წელს იჯარით გაიცა 23 ობიექტი. მუნიციპალიტეტის მერიაში იმატა დაინტერესებულ პირთა რიცხვმა, რომლებსაც სურვილი აქვთ შეიძინონ ან იჯარით აიღონ მუნიციპალური ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. ამჟამად არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ცენტრი, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ შეარჩიონ მათთვის საჭირო და მისაღები უძრავი ქონება. სრულყოფილად არ არის აღწერილი და დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის ქონება, მერიას დაეგმილი აქვს 2021 წლის ბოლომდე მოახდინოს მუნიციპალური ქონების სრულყოფილი აღწერა, მისი შეფასება და რეგისტრაცია.

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს ძირითად საჭიროებას რათა მოხდეს სოფლად მაცხოვრებელთა შემოსავლების ზრდა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განხორციელება, ამ პერიოდში აუცილებელია ბოლომდე დამთავრდეს და გამარტივდეს მოსახლეობის მიერ კერძო ნაკვეთების დარეგისტრირება, ჩატარდეს მიწის ინვენტარიზაცია დადგინდეს მიწის ბალანსი და მოხდეს რეგიონში მიწის აგროქიმიური ანალიზების ჩატარება.

მუნიციპალიტეტში და არც რეგიონში, არ ფუნქციონირებს ბიზნესის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა. დღეისათვის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს უახლოესი პერიოდისათვის უნდა წარმოადგენდეს, კოოპერატივებისა და მიკროკომპანიებისათვის ხელის შეწყობა. მათი საჭირო ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვაში ხელშეწყობა, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო: მუნიციპალიტეტში მოქმედი ტურიზმის ხელშეწყობი ცენტრის მეშვეობით მუშავდება ტურიზმის განვითარების პროგრამა, ასევე მომზადების სტადიაშია სოფლის მეურნეობის განვითარების რამოდენიმე პროგრამა, მიღებულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია. ამასთან, აუცილებელია ამ დოკუმენტებს უახლეს მომავალში მიენიჭოს ნორმატიული აქტის სტატუსი, რაც გაამარტივებს ბიზნეს ორიენტაციას.

მოსაწესრიგებელი და გასამარტივებელია წიაღისეულის (ინერტიული მასალა, ქვა, ხრეში) მოპოვებისათვის ლიცენზიების გაცემის წესები, რადგან ხშირ შემთხვევაში ჭიანჭურდება ლიცენზიის გაცემა, არის შემთხვევები, როცა ლიცენზიით გაცემული წიაღისეულის მოცულობა ნაკლებია. იმ მოცულობაზე, რაც ლიცენზიის მფლობელს გააჩნია, ამ დროს ირღვევა კანონი და არის ლიცენზიატის დაჯარიმების ფაქტები.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა: როდესაც ადგილობრივი ბიზნესის საჭიროებების კვლევა წარმოებდა, გაირკვა, რომ ბიზნესმენტა უმრავლესობას თანამშრომლები აჰყავს სამეგობრო და სანათესაო წრიდან, სჯერდებიან მხოლოდ თანამშრომელთა ზოგად განათლებას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ კვალიფიკაციას, არ არსებობს თანამშრომელთა გადამზადების, ან კვალიფიკაციის ამაღლების ჩამოყალიბებული სისტემა, რაც საბოლოოდ იწვევს საწარმოთა უმრავლესობაში კვალიფიციური კადრის საჭიროებას.

მუნიციპალიტეტში გაზრდილი მიგრაციული ვითარების შესაბამისად, უახლოეს პერიოდში მოთხოვნადი პროფესიები იქნება: ექიმი, ვეტერინარი, აგრონომი, კვების მრეწველობის ტექნოლოგი, კვალიფიციური მზარული, უცხოურ ენოვანი გიდი, სასტუმროს მენეჯარი, მშენებელ ინჟინერი, ელექტრიკოსი. ახალგაზრდა პროფესიული კადრები უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ნაკლებად ბრუნდებიან

მუნიციპალიტეტში და მუშაობას იწყებენ დიდ ქალაქებში ან უცხოეთში. ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა მოხდეს მუნიციპალიტეტიდან წასული ტექნიკური და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლე-სტუდენტების აღრიცხვა, მოეწყოს შეხვედრები მათსა და დამსაქმებლებს შორის.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ცაგერის მუნიციპალიტეტს თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ხელსაყრელი მდგომარეობა უკავია ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. მრავალფეროვანია გარემო, სადაც მრავალია ანტიკური პერიოდის ისტორიული ხასიათის ეკლესია მონასტრები და ციხე კოშკები, ბუნებრივი ძეგლები მუნიციპალიტეტში იწვევს ტურისტული ნაკადის სერიოზულ ზრდას.

ცაგერის მუნიციპალიტეტი ოდითგანვე ცნობილი იყო მრავალფეროვანი და უნიკალური ვაზის ჯიშებით, საქართველოში აღწერილი 500 ჯიშიდან ლეჩხუმში წარმოდგენილია 60 ჯიში. მუნიციპალიტეტში მოწყობილია რამოდენიმე მარანი, ხდება სახელობითი ღვინოების ჩამოსხმა, ადგილობრივი მეწარმეები და მეღვინეები სისტემატიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულ ღვინის ფესტივალებში და გამოფენებში, მიღებული აქვთ პრიზები და ჯილდოები.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოფელ დოღურაშში დაზვერილი გაბრო-დიაბაზის საბადო, რომელიც გამოიყენება შენობების, როგორც გარე ფასადის, ისე ინტერიერის გასაფორმებლად, გაცემულია ლიცენზიები, იგეგმება მისი ექსპლუატაცია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალია სხვა რესურსებიც, რომლის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები: საკურორტო ადგილი „ახალჭალა“, 3 ბალნეოლოგიური კურორტი, ადგილები სამთო და სამონადირეო ტურიზმისთვის, წყლის რესურსები სათევზე მეურნეობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტს კავშირი აქვს სოფელ ლაილაშიდან ისრაელში საცხოვრებლად გადასულ ქართველ ებრაელებთან, რომლებსაც იქ სერიოზული ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა გააჩნიათ, იგეგმება პროგრამები მათთან ეკონომიური ურთიერთობის გაღრმავებისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> - ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად - მუნიციპალიტეტში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნება: ხილი, ბოსტნეული - იაფი მუშახელი - სათიბ-სამოვრების დიდი რესურსი და მიწის რესურსების სიიაფე - მინერალური და სასმელი წყლის რესურსები <ul style="list-style-type: none"> - ვაზის უნიკალური ენდემური ჯიშებისა და ღვინოების - „უსახელაური“, „ტვიში“, ორბელური „ოჯალეში“ - საერთაშორისო ცნობადობა 	<ul style="list-style-type: none"> - ინვესტორებთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე - ბიზნეს, მ.შ. ტურისტული, მხარდაჭერის გამოცდილების დაბალი დონე - მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარების სტრატეგიის არ არსებობა - სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა და საქონლის დაბალ პროდუქტიულობა - უზარისხო შხამ-ქიმიკატები და დამატებითი დაცვის საშუალებების არარსებობა. მოძველებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მცირე მექანიზაციის საშუალებების ნაკლებობა.

<ul style="list-style-type: none"> - საკალმახე წარმოების დიდი რესურსი - სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარების პოტენციალი, ქვეყანაში ცნობილი ტურისტული და დასასვენებელი ადგილები - ქსელური ურთიერთობების არსებობა ტურიზმის სფეროში - ელექტრონული აუქციონებისა და შესყიდვების, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების არსებობა მუნიციპალიტეტში 	<ul style="list-style-type: none"> - რეალიზაციის ადგილობრივი ბაზრის სიმცირე - ადგილობრივი პროდუქციის წარმოება გადამუშავების და გასაღების არაორგანიზებულობა - უმუშევრობის მაღალი დონე - სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სასაწყობო მეუნეობის არ არსებობა - მუნიციპალიტეტსა და ბიზნესს შორის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის არ არსებობა - ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის არ არსებობა
შესაძლებლობა	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფოს მიერ რეგიონებში პროექტების განხორციელება - რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა - ტურისტების რაოდენობის ზრდა ქვეყანაში - კერძო ინვესტორების დაინტერესების ზრდა - საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის ზრდა <ul style="list-style-type: none"> - მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული, გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირების სპეციალური სახელმწიფო პროგრამები - მიწის ნაყოფიერების მართვის ეფექტური მექანიზმის, მეწყერული და ეროზიული მოვლენების პრევენციის მექანიზმის შემუშავებისა და დანერგვის სახელმწიფო პროგრამები 	<ul style="list-style-type: none"> - პანდემიები - რეალიზაციის ბაზრის უქონლობა რეგიონის დონეზე - პროდუქციის წარმოება გადამუშავების და გასაღების არაორგანიზებულობა - უმუშევრობის მაღალი დონე რეგიონში და მოსახლეობის გადინება რეგიონიდან - სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სასაწყობო მეუნეობის არ არსებობა რეგიონში. - კორონა ვირუსის ეპიდემიის გამო მსოფლიოში საქართველოში ტურისტების რაოდენობის შემცირება

რეგიონულ და ეროვნულ ბაზრებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეტანის შესაძლებლობა, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამები, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა ქმნის წინაპირობებს ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები

სტრატეგიული ხედვა:

ცაგერის მუნიციპალიტეტი ცნობილია ეკოლოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და ტურისტული შესაძლებლობებით, ბიზნეს გარემოთი, სადაც ოჯახებს აქვთ შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

ძირითადი მიზნები:

- 1) ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა;
- 2) მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების ზრდა;
- 3) ადგილობრივი ადამიანური რესურსების უნარ-ჩვევების განვითარება;

9. სამოქმედო გეგმა

LEDP-ის სამოქმედო გეგმა მომზადდა პარტნიორების და დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით, სამოქმედო გეგმა მოიცავს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ადგილობრივი მოსახლეობის უნარების განვითარების ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის დაგეგმილი მიზნის მიღწევას. ღონისძიებების უმრავლესობა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ. ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელებაში ჩართული იქნება სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძო სექტორი და განვითარების პარტნიორები.

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	ძირითადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ეკვივალენტი)	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
გარეპოზიციონირება და მარკეტინგი:	ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა	1.1. ყოველწლიური ქართული ღვინის ფესტივალის ორგანიზება	02.2020-08.2022	ცაგერის მუნიციპალიტეტი	12000 ლარი (3750 ევრო)	Output: 1) 2 ფესტივალი ჩატარდა; 2) 30-მდე ღვინის და მასთან დაკავშირებული პროდუქციის მწარმოებელი მონაწილეობდა ფესტივალში; Monitoring Indicator: 1) 15 მონაწილე ბიზნესი; 2) 350 დამთვალიერებელი;	Outcome: 1) გაზრდილია ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავალი; Outcome indicators: 1) ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლები;
		1.2. ადგილობრივი	02.2020-	ცაგერის	12000 ლარი	Output:	Outcome:

		ივი მწარმოებლების საქმიანობების მარკეტინგული მხარდაჭერა და სტიმულირება	10.2021	მუნიციპალიტეტი;	(3750 ევრო)	1) გამოვლენილია წლის საუკეთესო 2 ფერმერი და 3 მეწარმე; 2) გავრცელებულია ინფორმაცია წლის საუკეთესო ფერმერის /მეწარმის შესახებ მედიის 5 სხვადასხვა საშუალებაში. Monitoring Indicator: 1) მედიის სხვადასხვა საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობა და სია;	1) მწარმოებელთა პროდუქციის გაზრდილი გაყიდვები; 2) გაზრდილია ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა ბაზარზე; Outcome Indicators: პროდუქციის გაყიდვები;
მიწა და ინფრასტრუქტურა ; გარეპოზიციონირება და მარკეტინგი:	მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების პოტენციალის ზრდა	2.1. ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა	10.2020 - 11.2021	ცაგერის მუნიციპალიტეტი;	42 000 ლარი (13 125 ევრო)	Output: 1) 1000 კვ.მ-ზე მოწყობილია საგამოფენო-სავაჭრო სივრცე; 2) 200 კვ.მ.-ის ფართობის შენობაში ტარდება ღონისძიებები; 3) მოქმედებს ყოველდღიური 1 ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	Outcome: 1) გაზრდილია კამყოფილი ვიზიტორების რაოდენობა; Outcome Indicators: კამყოფილი ვიზიტორების რაოდენობა;
		2.2. აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის	09.2020 - 12.2021	ცაგერის მუნიციპალიტეტი; ტურიზმის ეროვნული	14000 ლარი (4375 ევრო)	Output: 1) ჩატარებულია 3 საინფორმაციო ტური;	Outcome: 1) გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა

		წარმოება		ადმინისტრაცია;		Monitoring Indicators: 1.საინფორმაციო ტურების და მონაწილეების რაოდენობა და სია;	Outcome Indicators: 1) ვიზიტორების რაოდენობა;
		2.3. ტურისტულ ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა	01.2020 - 08.2021	ცაგერის მუნიციპალიტეტი; რეგიონალური განვითარების ფონდი. GRETA- (ჰაბი)	700020 ლარი (218756 ევრო)	Output: 1) ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზა კეთილმოწყობილია; 2) სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლებთან მისასვლელი 9 ბილიკი მოწყობილია Monitoring Indicators: 1) რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა;	Outcome: 1) გაზრდილია წვდომა ტურისტულ ობიექტებთან; Outcome Indicators: 1) ობიექტების ვიზიტორების რაოდენობა;
უნარები და ადამიანური კაპიტალი;	3. ადგილობრივი ადამიანური რესურსების უნარ-ჩვევების განვითარება;	3.1. დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	01.2020- 10.2020	ცაგერის მუნიციპალიტეტი;	10000 ლარი (3125 ევრო)	Output: 1) ჩატარდა 2 სასწავლო პროგრამა; 2) 20 გადამზადებული მონაწილე; Monitoring Indicators: 1) ტრენინგის მონაწილეების რაოდენობა და სია;	Outcome: 1) სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მომსახურების ხარისხსი; Outcome Indicators: 1) მომსახურების დონის შეფასება;
		3.2. დიალოგის პლათფორმის შექმნა	07.2020- 12.2022	ცაგერის მუნიციპალიტეტი	12000 ლარი (3750 ევრო)	Output: 1) ჩატარდა	Outcome: 1) სამუშაო

		მუნიციპალიტეტს, დამსაქმებელსა და სასწავლებლებს შორის		ი;		პლატფორმის წევრთა 2 შეხვედრა; Monitoring Indicators: 1) შეხვედრის მონაწილეების რაოდენობა და სია;	ადგილების და დასაქმებულები ს კვალიფიკაციის შესახებ ცოდნის გაუმჯობესება; Outcome Indicators: 1) მომსახურების დონის შეფასება;
--	--	--	--	----	--	---	---

10. დაფინანსების სქემა

მოხდა თითოეული საქმიანობისათვის ღირებულების განსაზღვრა ლარსა და ევროში. გათვალისწინებულია, როგორც ადგილობრივი ასევე ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება, ყველა დაგეგმილ საქმიანობაში ადგილობრივი ბიუჯეტით მოხდება თანადაფინანსება, რომელიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი წლის საბიუჯეტო ხარჯებში.

საერთო ბიუჯეტი შეადგენს 802 020 ლარს (250 624 ევრო), საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა შეადგენს 17%-ს (133 324 ლარს (41663 ევრო)); ცენტრალური ბიუჯეტის თანამონაწილეობა 377 538 ლარს (117 980 ევრო) - 47%-ს. დონორი ორგანიზაციების კი - 291 158 ლარი (90 986 ევრო). 36%-ს. გეგმის ბიუჯეტის 94% მეორე მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულ ქმედებებზე იხარჯება.

ცხრილი 2. დაფინანსების სქემა

ქმედებები	სავარაუდო ღირებულება	დაფინანსების წყარო			დანაკლისი დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი		
1.1. ყოველწლიური ქართული ღვინის ფესტივალის ორგანიზება	12 000 ლარი (3 750 ევრო)	12 000 ლარი (3 750 ევრო)				

1.2. ადგილობრივი მწარმოებლების მარკეტინგული საქმიანობების მხარდაჭერა და სტიმულირება	12 000 ლარი (3 750 ევრო)	12 000 ლარი (3 750 ევრო)				
2.1. ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა	42000 ლარი (13 125 ევრო)	42 000 ლარი (13 125 ევრო)				
2.2. აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის წარმოება	14 000 ლარი (4 375 ევრო)	14 000 ლარი (4 375 ევრო)				
2.3. ტურისტულ ლოკაციებზე ინფრატრუქტურის მოწყობა	700 020 ლარი (218 756 ევრო)	31 324 ლარი (9 788 ევრო)	377 538 ლარი (117 980 ევრო)		291 158 ლარი (90 986 ევრო)	
3.1. დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	10 000 ლარი (3 125 ევრო)	10 000 ლარი (3 125 ევრო)				
3.2. დიალოგის პლათფორმის შექმნა მუნიციპალიტეტს, დამსაქმებელსა და სასწავლებლებს შორის	12 000 ლარი (3 750 ევრო)	12 000 ლარი (3 750 ევრო)				
ჯამი	802 020 ლარი (250 625 ევრო)	133 324 ლარი (32 500 ევრო)	377 538 ლარი (117 980 ევრო)			

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის საქმიანობების განხორციელების მონიტორინგს განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის და საზოგადოების წარმომადგენლები, სულ 11 ადამიანი, მ.შ. 6 ქალი. ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ საბჭოს მიაწოდებს LED ოფიცერი. საბჭო შეიკრიბება ყოველ 3 თვეში ერთხელ და განიხილავს გეგმის შესრულებასთან და მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცხრილი 3: საქმიანობები და მონიტორინგის გეგმა

კმედება	დაწყება-დასრულება	მოსალოდნელი შედეგები 1-6 თვე	მოსალოდნელი შედეგები 6-12 თვე	მოსალოდნელი შედეგები 12-18 თვე	მოსალოდნელი შედეგები 18-24 თვე
---------	-------------------	---------------------------------	----------------------------------	-----------------------------------	-----------------------------------

1.1. ყოველწლიური ქართული ღვინის ფესტივალის ორგანიზება	02.2020 - 08.2022	ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შერჩეული და მოწვეულია მონაწილეები; მომზადებულია ფესტივალის მასალები;	ჩატარებულია ღვინის ფესტივალი	ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შერჩეული და მოწვეულია მონაწილეები; დამზადებულია ფესტივალის მასალები;	ჩატარებულია ღვინის ფესტივალი
1.2. ადგილობრივი მწარმოებლების მარკეტინგული საქმიანობების სტიმულირება	02.2020 - 10.2021	მომზადებულია კონკურსის „წარმატებული ფერმერი/მეწარმე“ პირობები; წარმატებული ფერმერი/მეწარმეების შესარჩევად შექმნილია კომისია;	გამოვლენილია წლის წარმატებული ფერმერი/მეწარმე; მომზადებულია საიმიჯო ვიდეორგოლი;	გამარჯვებული მეწარმე მონაწილეობს გამოფენაში ქვეყნის მასშტაბით	გამოვლენილია წლის წარმატებული ფერმერი/მეწარმე;
2.1. ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა	10.2020 - 11.2021		შერჩეულია ადგილი; მომზადებულია საგრანტო განაცხადი დონორი ორგანიზაციებისათვის და მიმართვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის	მიღებულია გადაწყვეტილება თანადაფინანსების შესახებ; დაწყებულია ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობის სამუშაოები	სივრცეში ეწყობა ღონისძიებები
2.2. აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის წარმოება	09.2020 - 12.2021		მომზადებულია საინფორმაციო ტურების კონცეფცია და მასალები	საინფორმაციო ტურის კონცეფცია გაცნობილია დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის; დადგენილია მონაწილეთა სია.	საინფორმაციო ტური ჩატარებულია
2.3. ტურისტულ ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა	01.2020 - 08.2021	შერჩეულია ტურისტული ლოკაციები; მომზადებულია საპროექტო წინადადება; გამოცხადებულია ტენდერი მომსახურების შესასყიდად;	სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებთან ძეგლებთან მისასვლელი ბილიკები მოწყობილია	მოწყობილია საპიკნიკე ადგილები	ტურისტულ ლოკაციებზე მოწყობილია ინფრასტრუქტურა
3.1. დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	01.2020- 10.2020	შერჩეულია ტრენინგების მონაწილეები	განსაზღვრულია მონაწილეთა საჭიროებები; მომზადებულია ტრენინგის მასალები	ჩატარებულია 1 ტრენინგი	ჩატარებულია მე-2 ტრენინგი

3.2. დიალოგის პლათფორმის შექმნა მუნიციპალიტეტს, დამსაქმებელსა და სასწავლებლებს შორის	07.2020-12.2022		მომზადებულია პლათფორმის კონცეფცია	ჩატარებულია პლათფორმის პირველი შეხვედრა	ჩატარებულია პლათფორმის მეორე შეხვედრა
--	-----------------	--	-----------------------------------	---	---------------------------------------